

თავტრის სსოზრება


საბუნებისმეტყველო-საზოგადოებრივი

1917—42, კვირა გიორგიშვილის 5, — ფასი 30 კაპ.

წელიწადი მესამე გამოცემის



მოქანდაკე



იკორგნიკოლაკი
20 წლის მოღვაწეობის გამო

ქართული საზოგადოებრივი სსსრკ-ისთვის.

წარსულ კვირას ქართველ მომღერალ-მუსიკოსთა კავშირში ცნობილია კომპოზიტორმა მ. ბალანჩივამ მოხსენება წაიკითხა: გვგმა მომავალ ქართულ სამუსიკო სასწავლებლისა.

მოხსენება ფრიად სიმბატური და ორიგინალური შინაარსის აღმოჩნდა.

მატივეცემულ კომპოზიტორს განზრახული აქვს, გადადგას პრაქტიკული ნაბიჯი თავის გეგმის განსახორციელებლად.

სრულდება ჩვენი დიდი ხნის ნატვრა:

ქართულ ხელოვნებას მიეძღვა ყურადღება.

ამ მომავალ სასწავლებლის გარშემო შემოკრებიან ჩვენი სამუსიკო ხელოვნების მოყვარულნი, რომელიც აქამდინ უყურადღებოდ იყო მიტოვებული, ეხლა ეხსენება გზა აყვავებისა.

ჩვენ ნორჩ ახალგაზღობას შეეძლება უცხოეთის მუსიკის გარდა, შეისწავლოს თავისი ეროვნული მუსიკაც!

ენიდან ის ერი, რომელსაც თავისი ხელოვნება არ გააჩნია, დაქვეითებულია.

აღნიშნულ კავშირს გადაწყვეტილი აქვს ამ ახლო მომავალში მოიწვიოს ქართულ მუსიკის სპეციალისტთა კრება, სადაც დაფერილებით შეიმუშავებენ გეგმას ქართ. სამუსიკო სასწავლებლისა.

განსახილველია მ. ბალანჩივამის გეგმის გარდა, კიდევ რამოდენიმე სხვა გეგმა.

მიზანი ამ გეგმების ერთია:

სრული ნაციონალიზაცია.

განსხვავება წერილმანებშია!

აი, ამ სპეციალისტების-მიერ დამუშავებულ გეგმის თანახმად უნდა სწარმოებდეს გადაგვარებულ ფილარმონიულ სამუსიკო სასწავლებლის საქმე.

და ამ გეგმისვე თანახმად უნდა გაიხსნას ეროვნული სამუსიკო სასწავლებლები ქუთაისის, ბათუმს და სხ.

იმედია, ჩვენი მუსიკის სპეციალისტნი და მოყვარულნი ამ საკითხს დიდ ყურადღებას მიჰქცევენ და ამ მნიშვნელოვან კრებას დაესწრებიან.

სგ. წერეთელი

!!!

გამოფხიზლდა ერთ ჩემი,
თვითშეგნებამ გაიღვიძა;
ჰსურს თავიდან მოიშოროს
არა მკითხე ლალა-ძიძა!

ჩამოდექით, გზა მიეცით
ქაბუკსა და სუდით ძლიერს
ვედარავინ ვერ შეუცვლის
დღეის იქით ფერს და იერს!

ჯერ თავო და თავო!

სასალმო საპირი საღვინო კითხვათ

თუ თვეზის ქერა გინდა, წყალი სათავი-
ვიდან უნდა დასწყვიტოთ, ამბობს ჩვენი ხალხი.
ჩვენ კი საქვეყნო საქმის კეთებას სათავის
მოუძებნლად ვაპირებთ.

უცხოელთა ნააზრევით გატაცებულთა და
უკუღმა მოაზროვნე აღამიანთა წყალობით
ჩვენი ხალხის ცხოვრება და მოძღვრება, სიტუ-
ყვა და საქმე ერთმანეთს ვერ შეგუებია: ხალხს
გულში რომ ფრთი უძევს და ყოფა-ცხოვრე-
ბა ერთსა სთხოვს, ვიდაცისა თუ რიდაცის
მოკრძალება მეორეს ავალებს, გაორკოფებუ-
ლია და ასე, ჩაზღვრილი საკუთარი ბედის
გამოსწორებას სხვისი დახმარებით ელის.
ასეთ შეუგნებლობასა და აზრთა განხეთქილე-
ბაში ყველაზე მეტად სოფელი იჩივრება.

სოფელი გაოგნებულია. რევოლიუციის
ქარტყილმა იგიც ჩაითრია, მაგრამ საკუ-

თარი, დამოუკიდებელი აზრი რომ ვერ გამოუთქვამს, პირში წყალ-ჩაგულებული ამყოლს ასდევს, დამყოლს დასდევს და ფონი კი ვერ მიუკვლევია!

ჩენი მომავლის სიკეთე ხალხზეა დაფუძნებული და თუ ეს ხალხი შევნებით, ერთი რწმენით შეკავშირებული არ ჩაერთა საქვეყნო საქმის მოწყობაში, ხომ შეიძლება თავისი მონობის ახალი ბორკილები გამოსკვდოს...

სახემწიფოს სათავე ამღვრეულია და ჯერ კიდევ გარკვეულ გზას ვერ დასდგომია... ამავე მიზეზით ამღვრეულია ჩენი სამშობლოს ცხოვრება და საკუთარ წყლულთა უცნობნი სხვათა მკვდართა აღდგენაზე ფიქრობთ!

განა შეიძლება სასიკვდილოდ განწირულს ხვედრი შეჰოუტრიალო?!

მოვიგონოთ ისტორიის გაკვეთილები:

ბელგეთმა ომის დასაწყისში შესანიშნავი რაინდობა გამოიჩინა, — თავის მცირე რიცხოვან ლაშქრით წინ აღუდგა გერმანიის მძლეთა მძლეობას და სულ მცირე ხანში თითქმის მტერად იქცა!...

განადგურდა ჩენი დროის მოწინავე ქვეყანა!

მოვიგონოთ სერბეთი, მთაშავეთი!

ბევრს ეხსომება ჩენი შესანიშნავი ისტორიკოს მკვლევარი პატრი მიქელ თამარაშვილი, იტალიეთში ზღვის პირას სეირნობის დროს შენიშნა, ზღვაში ერთი მუშა ირჩობოდა. ბევრი აღარ უფიქრია მიქელს, ქართველური თავგამოდებით მაშინვე ზღვაში გადაეშვა და ხელი სტაცა, მაგრამ კა ვერ გამოიყვანა, — თითონაც ჩაჰყვა და ამგვარად საისტორიო მცენიერებას ერთი მნათობთაგანი უცებ გაჰქრა.

თქმა არ უნდა, საქციელი მისი კეთილშობლიური იყო, მამრამ შედგევი?!

ყოველივე ეს უნდა გავითვალისწინოთ და ახლა შინაც მოვიხედოთ.

ჩენმა ხალხმა ძლიერ ბევრი სხვერბლი შესწირა სასიკვდილოდ განწირულთა სახსნელად მაგრამ ამ პაწაწა საქართველოს განა ისტორიის ჩარხის შემოტრიალება შეუძლიან? არა და არა!

შინაგან ძალას მოკლებული, უკულტურო

თავისთავის ურწოუნო, დაინთქმება. ეს კანონია ბუნებისა და ისტორიის.

და თუ გვნდა ჩვენც არ დავიღუპნეთ, საკუთარს თავს უნდა დავუბრუნდეთ, ჩენი თვითარსებობის პირობები და მოთხოვნები თვით სახლშივე შევისწავლოთ და მისი ცხოვრება ისე მოვაწყოთ...

საქართველოს აღარ ძალიუძს თავისი ბედის გადაწყვეტა ცხრამთის იქითელთა გაუმძღვრობასა და მტაცებლობას მიანდოს.

არც ის შეჰკერის, თვისი მომავალი უცხოელთა ხმის უმეტესობას დაუქვემდებაროს.

მკურნალო, თუ იცი რამე ჯერ თავსა შენსა უმკურნალეო! — ეს დიდის ხნის ნათქვამია. კაცო, იცან თავი შენიო! ესეც ძველის ბრძნის ნამოძღვრება.

ჩენმა ხალხმაც უნდა იცნოს თვისი სატკივარი, თავის თავს უმკურნალოს

გარეშე ამისა ნურას დავეძებთ.

არც ერთი კანონი ეროვნული ცხოვრებისა, არც ერთი გადაწყვეტილება სამშობლო მიწა-წყლის მოწყობის შესახებ ჩენის ხალხის ალაგობრივი კრების დაუკითხავად ძალაში არ უნდა შევიდეს.

ჩენი ხალხის მესვერთა უმეტესობა-კი მხოლოდ უცხოეთში მომზადებული შალამთი ფიქრობს მშობელი ერის წყლულთა განკურნებას. რაშია ხსნა?

დღესაც იგივე უნდა გავიმეოროთ, რაც ამ ოთხიოდე თვის წინად გამოვსიქვით ერთ-ერთ ჩვენს წერილში, და რასაც ამ ბოლო ხანებში ჩვენში კანტი-კუნტად ზოგიერთი წრეები მოითხოვენ, — სახელდობრ ისა, რომ დროით მოწვეულ იქნეს საქართველოს დამფუძნებელი კრება პარტიულობის მიუხედავათ.

ამ კრებამ უნდა გადასწყვიტოს, როგორ მოეწყოს ქარველი ხალხის ყოფა-ცხოვრება ან ვისთან რა დამოკიდულება იქონიოს!

საქართველოს ეს დამფუძნებელი კრება სათავეში დაწმენდავს იმ ლორი წყალს, რომელიც ხალხს შხამავს და ანაწლებს ქაქასავ.

სიტყვა ამ კრებისა მთელი ქართველი ერის კანონი იქნება.

ეს კრება საჩქაროდ უნდა შესდგეს, ვიდრე რუსეთის დამფუძნებელი კრება შეიკრიბებოდეს.

ამ კრებამ—და არა რომელიმე პარტიამ—უნდა უთხრას რუსეთის დამფუძნებელ კრებას რა გვინდა ჩვენ, რაშია ჩვენი ხსნა, ჩვენთან ერთად რუსეთის შეღავათი...

აი რაშია ხალხურ-დემოკრატიულ მისწრაფებათა გამარჯვების აუცილებლობა...

იოსებ იმედაშვილი.

ს. ხაში

ღვინობისთვის 28, 917 წ.



მეცხრედი ჩანა

აზობოქრებულ ცხოვრების ზვირთმა ამიყოლია ჯერედ პატარა: ბედმა მუხთოლმა, ბედმა მსახერალმა ეკლიან გზაზე ბევრჯერ მატარა. ბევრჯერ ჩამიხშო რწმენა იმედის, ბევრჯერ ჩამიკლა ბავშური გრძნობა, სამგლოვიარო შარავანდელით შემოსა ჩემი ახალგაზღობა. ჰვეყნად ვერ ვპოვე თანამგრძნობელი, თვითსატრფო ჩემთვის ღესავდა დანას, მწუხრისა ჟამსა მშობლისა ნაცვლად შავი ყორანი მეტყოდა ნანას... მეც დავმორჩილდი შავს ბედის წერას, მეც დავმორჩილდი ყოფნის ქარტეხილს, და მარად გლოვის ჰანგზე ვაკენესებ ჩანგს ნარ-ეკლიან გზაზე გატეხილს.

კ. ძიძიძე



კიდევ ამუწიკო ხლოვნებაზე*)

ჩვენ წარსულ წერილში შევეხეთ მუსიკას და ის აზრი გამოეთქვით, რომ ერთგულ მუსიკასთან ერთად აღმოსავლეთის მუსიკაც მშობლიურ მუსიკად უნდა მიგვაჩნდეს და ვინაიდან ერთგულ მუსიკასთან ერთად აღმოსავლეთის მუსიკაც მშობლიურ მუსიკად უნდა მიგვაჩნდეს და ვინაიდან ერთგულ მუსიკასთან ერთად აღმოსავლეთის მუსიკაც მშობლიურ მუსიკად უნდა მიგვაჩნდეს და ვინაიდან ერთგულ მუსიკასთან ერთად აღმოსავლეთის მუსიკაც მშობლიურ მუსიკად უნდა მიგვაჩნდეს...

ასეთი ნაწარმები ზოგიერთ მკითხველს ადვილად აფიქრებინებდა, რომ აღმოსავლეთის მუსიკა არ არის ერთგული მუსიკა და რატომ შეიძლება იგი ერთგულ მუსიკად ჩაითვალოს. ამგვარი ფიქრი მართლაც დასაშვებია, თუ ნათლად არ შევხედავთ აკოუსს და კარგად არ ჩაუგვირდებით, ხოლო თუ მოვისმართ ამ საზომს, რომელიც ჩვენ ზეგით დავსახელებთ, კითხვის ახსნაც ადვილი იქნება და დამაკმაყოფილებელიც.

დაიან, ერთგული იდეა მიგვაჩნია ერთგვარ საზომად რაცა ამ საზომით ჩვენ, სხვათა შორის, ვითვალისწინებთ ერის გადაგვარებას ანუ თავდაცვას. ამ იდეის შემეცნება გვასწავლის, რომ ჩვენ დავიცვათ ენა, ზნე, ჩვეულება, ერის ფსიხიის თავისებურება, რაც ამ მოვლენების დაცვას და მისთანისებურებას განვითარებას ხელს შეუწყობს, ჩვენ ას უნდა გამოვესარჩლოთ, ის უნდა მიგვაჩნდეს გადაგვარების საწინააღმდეგო ერთ ერთ საშუალებად.

სხვებულ მოვლენებში ძალიან ბევრი მოაზრება ისეთია, რომელიც ჩვენს ერს არ შეუქინია, მაგ. ზურნა, დუღუკი, საზანდარი მასთან დაკავშირებული მრავალი ზნე-ჩვეულება, ყველა ეს ჩვენ სხვისგან გვაქვს მითვისებული და თუ ჩვენ ამას უარყოფთ, რატორც არა ერთგულს, ეს იქნება ერისადამ-ჩვეულების უარყოფა, მისი თავისებურების დასაშინება. გრძნობის გადაგვარება, რაც ნიშნავს ერის სიკვდილისკენ გადადგმულს ნაბიჯს.

ამიტომ ჩვენ ვამბობთ: ვინაიდან ყოველივე ექვემდებარება დროის, მანძილისა და სივრცის რადენობას, ჩვენი ერთი მიზნავა ამ ფორმული

*) უადგილობის გამო, ეს წერილი გასულ კვირის ნომერში ვერ მოთავსდა.

კანონს და განიცადა ერთგვარი გადაგვარება, რომელიც ჩვენ დღეს ვთვლით არა გადაგვარებად, არამედ ერის თავისებურებად. მთელი ქართლ-კახეთი და თითქმის იმერეთიც ხსენებულ ხელაგნების ზედ გაგდენას განიცადის, ამიტომ მათი უარისყოფა იშეორებოდა ზნე-ჩვეულებათა უარისყოფას ნიშნავს; არის ფსიხიის რამოდენათმე დასამარებას რის წინა-აღმდეგ ჩვენ პრინციპიალურად მოვალე ვართ ვიბრძოლოთ. ამისთვის მათ განვითარებას, გავაძლიერებთ უნდა ვცდილობდეთ და არა გვერდს უსვებდეთ. ამით ჩვენ დაუახლოვდებით ხალხს, შეგაყვარებთ ხელაგნების ტაძრებს, რაც მოახდენს ერის შემადგენელ აწილთა სულიერ მობილიზაციას ამ მხრივ ერთ მთლიანად მის შედუღებას. ეს მიმდინარეობა განდობა ერთგვარი ზღუდე გადატვირთვებულ მოვლენათა წინა-აღმდეგ, რომელსაც, როგორც ძლიერს, შეუძლიან ჩვენს ერს ჩაუუჯახოს ნაციონალური გემოვნება: ასეთ ძლიერ ძაღად ჩაითვლება ევროპული ხელაგნება. განა მან არ ჩაუუჯახა ჩვენს ინტელიგენციას მამაპაპური გემოვნება, ეგოიზმ ძლიერ

რად, რომ დღეს თავს ვეღარც კი ახწევს და ეჭვს გვიბადებს: ვაითუ ხალხური სიძლეობები ევროპიულად ეგადანათლენ და ამით პრინციპს ეროვნულ ბრძოლის უდალტონ! მაგრამ ეს მომავლის საკითხია.

დაუბრუნდეთ ჩვენი წერილის საგანს. დრო-ჟამი ზნეობრივად უფლებას შობს ადამიანთა ურთიერთ ცხოვებაში. ჩვენი ისტორიული ტერიტორია გაცლივით მეტია, რაც დღეს სინამდვილეს შეადგენს მაგრამ დღეს მას საფუძვლით ვერა ვუფლობთ. ეს დრო-ჟამის ბრალა.

აღათ-წესები ბევრი უცხო ერისა გაგვანია, მაგრამ ჩვენ მისთვის ვიბრძვით, მას ჩვენად ვთვლით. ესეც დრო-ჟამის ბრალა.

ასევე ითქმის აღმოსავლეთურ გემოვნებაზედაც ის ჩვენც უნდა გვიუარდეს, რადგან მათი სტაბილიზაცია ჩვენი წინაშე მრავალ ჟამთა განმავლობაში. მიტომ ჩვენი ფსიხიის რამოდენათმე ჩამომავალი ბეჯია, მამასადამე მის დამცველიც.

მუშა მის, დეკამე



ემილ ვერჰარნი,
ბელგეთის სახელგანთქმული მწერალი. გარდაცვალებიდან ერთი წლის შესრულების გამო.

მკვდრები საფლავიდან სდგებიან

გულდენი ილია ნიკოლოზის ძეს პოდპოლკოვნიკ მეზუკეს.

თოფ-ზარბაზნების გრიალზე ათასობით სცვიოდნენ გულგანგშირულნი.

გულ ამზარხენი კვენესა, ტირილი, გოდება, წყველა, კრულვა ისმოდა დაქრილთაგან მათ მიმართ, ვინც გამოიწვია ომი; ხანაც უკანასკნელი სასოწარმკვეთი ოხვრა აღმოხდებოდა ხოლმე მომაკვდავთ. ვიღაცები ჰკვდებოდნენ. სულ-ხოტკით იყრებოდნენ. ბრძოლის ველი მკვდართა გვამებით იფარებოდა.

დღეა მიწა უსანკო სისხლით იღებებოდა.

ბრძოლის ველზე გვრათ ვერ აკველო.

მკვდრებისათვის ჩაქუნი, წერაქვების ცემა: საფლავებს სჭრიდნენ დახოცილთა სამარხად. აღამიანის მარჯვენა ვერ აუღოდა საფლავების ქრას და მკვდრებიც გარეულმხეტთა საკბილო ხდებოდნენ ანდა საშინელ ბრძოლის განკეთხვის ღლიდან უგზო-უკვლოდ იკარგებოდნენ. ხშირად მესაფლავეთ რამდენჯერმე უხდებოდათ დამარხულთა საფლავების ქრა. პირ-ნაყოფ მიწიდან მკვდრების სახე გამოჩნდებოდა ხოლმე. მათი დაშლილი სახე აშკარად ამბობდა:

აქ აღვილი გვიჭირავს, სხვა მკვდართა გვამებისათვის არ არის ბინაო!

მაგრამ თავისუფალ მიწის სივიწროვის გამო მათ იღუპილ ამოქანის მნიშვნელობას არავინ აღწევდა და გათხრალ საფლავებში მკვდრებზედ ისევ მკვდრებს აყრიდნენ, ერთი მეორეზედ ალაგებდნენ.

შქუხდა, გვრინავდა, ქარი ზუზუნებდა, თოფ-ზარბაზნები შეუსვენებლრიგ მოქმედებდნენ.

აღამიანებს ხოცავდნენ.

ისმოდა კვენესა, ტირილი, წყველა-კრულვა გოდება დაქრილთაგან მათ მიმართ, ვინც გამოიწვია ომი.

ისმოდა ბარ-ნიჩბების ჩხაკუნი, წერაქვების ცემა: დახოცილთათვის საფლავებს სჭრიდნენ. მკვდრებს მარხავდნენ.

უკუნი ღამე იყო.

გმირთა საფლავებიდან მკვდრები წამოდგნენ

და უგზო-უკვლოდ დაიწყეს ძრწოლო ხეტიალი. ჩონჩხები სიარულში საშიშრად იგრიებოდნენ, ძალზე ახმაურებდნენ. მათი დარღვეული ძელები, რომლებიც მხოლოდ შენარჩუნებულ ძარღვების ძაფებით იყვნენ თავ თავის ალაგს დამაგრებულნი, მოძრაობის დროს ერთი-მეორეზედ ეხლებოდნენ და რაკა-რუკი გაჰქონდათ.

ბევრი ხეტიალის შემდეგ აღამიანის ნასახი თავს წააწყდა მეორე აღამიანის ნასახს ჩონჩხმა ჩონჩხი შეაჩერა, მესალმა და ჰკითხა:

—საით მიდისარ?

—არც მე ვიცი, საით მივდივარ. აქ ვიყავი ხორციელად, ტყვიებს გვიშენდნენ. მოგვდო, მეგონა მიწაში მოვისვენებდი. ვხედავ იქაც უარესია.

ყოველ ცისმარე დღე გვხდიან თავს და იმდენი ჩამოაქვთ ჩვენთან მიწაში, რომ ტევა არაა ჩვენიანებს თავს გვაყრიან. დიდი სივიწროვა საფლავებში. ერთ მკვდარს ვერ ნახავ თავისუფლოდ განისვენებდეს. ეტყობა თავისუფალი აღვილი აღარ უნდა იყოს დედა-მიწის ქვეშ... ეხლა, იქ ყოფას ქვეყნად გამოსვლა ვაჯობინე. დავდივარ, დავხეტიალობ... იქნებ გავხდე რახმე მყუდრო აღვილი ვიშოვნო. —მიუგო ჩონჩხმა ჩონჩხს.

—შეც მაგ მიზეზითა ვარ მიწიდან ამოსული და აღვიოს ვეძებ მოსასვენებლად. თავისუფალი აღვილი აღარ უნდა იყოს მართლაც მიწის ქვეშ, თორემ აგრე არ შეგვავიწროვებდნენ საფლავში და არ შეგვაწუხებდნენ.

—შეწუხება ზედ ნურას იტყვიო, —გამოეხმაურა მესამე ჩონჩხი, რომელიც შორი-ახლო და უგდებდა ყურს ლაშარაკს. —აქ ცოცხლებს არ გვზოგავდნენ, მკვდრებს მიწაში, ვინ დავზოგავს. თავისუფალი აღვილი როგორ იქნება მიწაში, როდესაც ცოცხლებს ნება უნებლიე ყველას იქითკენ გზავ. ღამის მთელი სიფელი სიცოცხლით განიწმინდოს. საით მი-

თქვენ. ჰკითხა უკანასკნელად თავისიანებს და დიხართ ჩადრმავფბუი თვალები მიაპყრო მათ.

არც მე ვიცი, სად მივალთ. ვივლით, ვიხეტიალებთ აგრე. იქნებ მყუდრო ადგილს შევხვდეთ და მოვისვენოთ. - მიუგეს ერთ ხმით მესამე ჩონჩხს.

მეც თქვენთან წამოვალ!... - უთხრა მესამემ მათ და გაპყვა. ბევრ ძრწოლა ხეტიალში ისინი სხვა ჩონჩხებსაც შეხვდნენ, რომლებიც იმათა ჯგუფს შეუერთდნენ. და გზას გაუდგნენ.

კარგად რომ გაიარეს, მიადგნენ ზღვას. ზღვის ნახვაზე წრთმა დიდი ხნის მკვდარმა შეაჩერა ჩონჩხები და უთხრა:

— შეგ მგონია მოსასვენებლად ზღვა აჯობებს. ზღვაში გხლა ყველგან თავისუფალი ადგილია. ზღვის ძირში, სადაც გვინდა მოვთავსდებით. არც არაფერს დაგვირღვეს მყუდროებას. მართალი ხინ და ხან ზღვა აღელდება, მაგრამ საფლაგებში სიფიწროვესა და დედა-მიწიდან ხარბაზნების ხმანრობას, რომლის გაგონებებზე-დაც ძვლები გვიცახცახებს, იქ გვიჯობს.

წყლის ღელვის დროს ჩვენ შეგვიძლია ტალღებთან ერთად ავცურდეთ და ნეტარებით ვიტრეტივოთ, ..

- მშენიერი აზრია, — მოუწონა ყველამ ჩონჩხები, ყოფილი ადამიანები, ზღვაში გადაეშენენ. წყალში ისცურდნენ, ატივტივდნენ და მერჯ ზღვის ძირში იწყეს ჩაყურყურმალიაგება, სადაც თავისუფლად მოთავსდნენ.

დიდ-ხანს არ გაუვლია, ზღვაზე ხარბაზნებმა დაიგრიილეს. მტერთა წყალ-ქვეშა ნავეებმა და გემებმა ზღვაზე ხალხით სავესე ორატქლ-მთავალი დაღუბეს. დამხჩვალი ხალხი ზღვას ძირისკენ დაეშვა. ძირი მკვდრებით გაივსო. ჩონჩხები გაკვირვებულნი წამოდგნენ: არც აქ ყოფილა თავისუფალი ადგილიო და წყლიდან ამოვიდნენ. მკვდრები დღესაც დაძრწიან ქვეყნად, თუმცა ჯერჯერობით არ ჩნდებიან, მაგრამ ეგ მხოლოდ დრომდის. მკვდრებს სწამთ რომ მალე სხვებიც მიჰბაძავენ მათ მაგალითს, წამოდგებიან საფლაგებიდან, შეუერთდებიან მათ და ხილულად დაიწყებენ ძრწოლა-ხეტიალს...

ქ. სანს

ევგენი ფურცხვანიძე



ნიკოლოზ ლენინი — ულიანოვი
მეუბრავლენეთა ბოლშევიკი — სოციალდემოკრატიის ბელადი, რომელიც ამ უამათ პეტროგრადის აჯანყებას სათავეში უდგას.

ზ ე ი მ ი

წალბუზის მთის მწვერვალზე მამა-პაპათ უკვდავ სულელებს,
ჩუმართავთ ნადიმობა, საფლავიდან ამოსულელებს..

შეპხარიან სიამითა ლაჟვარდოვან ცის კამარას,
მოციმციმე ყინულთ წინწყლებს, მზეს ბრწყვიალას,
ვერცხლ-ქამარას
და ავსებენ სიხარულით მოვერცხლილსა ლამაზ ყანწებს,
წინც უყოზენ ურთ-ერთს ხელებს, ბევრ ბრძოლაში დანა-
ქანცებს.

წგონებენ სიამაყით წარსულ დროთა შავსა ხანებს,
სპარს-მონგოლთა შემოსევას, სისხლის მწოველ სასტიკ
ხანებს...

წგონებენ ბრძოლის ველზე გამოჩენილ სასწაულებს
და ვაჟკაცებს ლომ-მღვეგმირებს, მთელი ერის სამკაულებს...
წგონებენ ნეტარ წუთებს, მტრების ბევრჯერ დამარცხებას,
წვერიის „ოქროს ხანას“ და უძღვნიან თამარს ქებას...

შბოლოო შვება-ლხინით, სიხარულის ალღოთ მთვრალნი
ქხვევიან საკოცნელად, აგზნებულნი, ვითა აღნი,
და აფრქვევენ მთის ქეჩოზე ცრემლის წვეთებს ნეტარების:

ღრო დაუდგათ სანატრელი, მარადიულ გახარების.

ჯერ საფლავში რომ ეძინათ, სწრაფლ მოესმათ უცხო რეკა:

„წვერიამ ცის ტატნობზე ტანჯვის ქულა გადარეკა!“

სწრაფ შეინძრა მათი ძვლები ცივს და ბნელსა სამარეში,

ქხაურდნენ მრავალ ხმაზე და დაიწყეს შიგ თარეში,

სულელები-კი, ვით არწივნი გაექნენ მალლა მთისკენ

ქლტაცებით უწყეს ცქე ა ტურფა მხარეს სამხრეთისკენ.

და ამოსკდა მათ მკერდიდან მძლავრი „კუჩხა-ბედინერა“,

წითქო ვიდაც დაჰქორწილდა, ან და ჯვარი დაიწერა...

წალბუზის მთის მწვერვალზე, მამა-პაპათ უკვდავ სულელებს,
ჩუმართავთ ნადიმობა, საფლავიდან ამოსულელებს...





ქ ა ვ ი თ ლ ე ქ ა ვ ა

ახალგაზდა მომღერალი

დვინობისთვის 8 თბილისის კონსერვატორიაში შესდგა ხმების კრწკურსი, ჩაიკოვსკის სტიპენდიანზე, რომელიც ეხლა დაფუძნდა. მომღერალთა შორის მოწილეობდა ახალგაზდა მომღერალი დათიკა ლექავა, რომელმაც შესანიშნავად შეასრულა არია ოპერა სიმონ

„ბოკანეგროდან“ მუსიკა ვერდისა.,

სიამოვნებით უნდა აღვნიშნოთ, რომ მას მშვენიერი მძლავრი და ლამაზი ხმა აღმოაჩნდა. (ბასი) და მასთან შესამჩნევი მუსიკალური ნიჭიც, რის გამოც სტიპენდიაც მას მიანიჭეს.

(ქართული მომღერალი)

მ ე ო რ ე დ მ ო ს ვ ლ ა

სტენები თანამედროვე ცხოვრებიდან 2 მკჟმ.

გუძღვნი ჩვენს სასიქადულო მსახიობს ვასო აბაშიძეს მისი 40 წლის სასტენო მოღვაწეობის გამო.

მოქმედნი:

- 1, ლუარსაბ რევაზის ძე ყარანგონი-შვილი, სოფ. მუხამუჯე.
- 2, ლარეჯან, ამისი მუხამუჯე.
- 3, ტარიელ, სტუდენტი.) ამათი
- 4, თამარ, უმჯ. კურ. მსმენელი) შვილები
- 5, გაბო არსენაშვილი, სოფლის გლეხი, ლუარსაბის მეზობელი და ნათლიშვი.
- 6, სოციალ-დემოკრატი მეუმცირესე.
- 7, სოციალ-დემოკრატი მეურავლესე.
- 8, ნაციონალდემოკრატი.
- 9, სოციალ-ფედერალისტკა.
- 10, ალქსა, ლუარსაბის მოსამსახურე.
- 11, ყაჯი ოღლი, მეუზოგე.
- 12, აღმწერი ქალი.

მოქმედებს სწავლებს ქ. თბილისში.

მოქმედება პირველი.

(სტენა: სასტუმრო ოთახი. ტარიელი ხმა მაღლა კითხულობს საპროგრამო წიგნებს. შემოდის თამარი).

თამარ. ტარიელ, წაიკითხე წერილი? ჩვენები ჩამოსვლას აპირებენ.

ტარიელ ნუ მიშლი, ნუ! (განაგრძობს კითხვას.)

თამ. რა ექნა, რა დაგეგმართა? რევოლიუციამდი წიგნი ჭირივით გეზიზღებოდა ეხლა კი მას აკვდები? მაგრამ ტყუილად ნუ იწუხებ თავს: გლეხი ჩვენ გამოგვეყვება, რადგან მათი ინტერესთა დამცველნი მხოლოდ ჩვენ ვართ.

ტარ. სტყუი! თქვენ უტოპისტები ხართ. გლეხს თავი დააკარგვინეთ უთავბოლო ლაპარაკით. ჩვენ კი უფრო რეალურად ვუყურებთ საკითხს. საქართველოში, საცა წერილი მესაკუთრეობა არის განვითარებული, თქვენ ვერ განახორციელებთ სოციალიზმს.

თამ. რუსეთში? რუსეთზე რაღას იტყვი?

ტარ. რუსეთი სხვაა და საქართველო კი სხვა. ჩვენ ადგილობრივ პირობებსაც

უნდა გავუწიოთ ანგარიში. საჭიროა მუნიციპალიზაცია.

თამ. მამ თქვენ იცავთ ბურჟუაზიის იდეოლოგიას. გლესს ხდით ბურჟუად და ასი წლის შემდეგ კვლავ ახალი რევოლუცია იქნება საქარო. როგორ ვერ შეიგნეთ, რომ სოციალიზაცია არის ყოველი სიღარიბის მოშორებელი.

ტარ. (შოთხვით) ქალო! გვ გლესი მიწის არ გაძლევს და რას ჩააცივდი შენი სოციალიზაცია; ჯერ მუნიციპალიზაცია.

თამ. თქვენ, მარქსისტებს, ბურჟუების მხარე გიქირავთ, ორპირობთ. ხალხს არ გინდათ პირდაპირი გზა უჩვენოთ.

ტარ. დიკარგე, თქვენმა ფედერალისტებმა ხომ ააშენეთ ქვეყანა. ერთი ბეწვა ხართ და ამოდნას კი გიძახით. თქვენ ქართველი დაშნაკტუტუნები ხართ; მათიტყუბები ხართ.

თამ. თქვენ კი დემაგოგები ხართ, ჩადგდვთ საუკეთესო ადგილნი და ქვიფობთ. შუაზე რომ გასკდვთ, ხალხი სოციალიზაციას მოითხოვს.

ტარ. ტყუი, მუნიციპალიზაციას...

თამ. არა სოციალიზაციას!..

ტარ. (უფიქრას) გეუბნევი მუნიციპალიზაციას

თამ. (ტირიფით) სოციალიზაციას!

ტარ. აი, ამ წიგნს თავში გესვრი!

თამ. ამ „კაბლუქს“ ხომ ხედავ... (ისმის ზარს. თამარს ვნას უჩვენებს ტარაელს და ვარბას. ისმის თამარს ხმა: „ჩვენები ჩამოვიდნენ, ჩვენები.“ შემოდიან ჯუარსაბ, დარჯუან და ალექსი, ყველას ბარჯი ხედავთ უკავიათ.)

ტარ. ვაშარჯობათ დედა, მამა! აღექვი შენც გაგიმარჯოს. მოგვილოცავს ბრწყინვალე დღეები, თავისუფლება, დემოკრატიული რესპუბლიკა! (მეყსაღმება ჯუარსაბს.)

ჯუარსაბ მოიცა, ბიჭო, რა დროს რესპუბლიკას! ვაგზლიდან ფეხით მოვდივართ, ფაოტონმა რვა მანეთი გვთხოვს! აი გილი, ხად არის ძველი დრო! ვაგზლიდან ორთაქალაში ფაოტონს ორ აბაზათ მიჰყავდი და ასიც კი გიკვირდა, რა სიძვირეაო. წაიღე ბიჭო ეგ ბარჯი, წელი მომწყვიტა ამ რხერაზე ხურჯინმა. დარჯუან (კოჭნის შვილას.) ჩემო გერიტრო

ჩემო ლამაზნო, თქვენი ქირიმე! რატომ არ ჩამოხველთ სოფელში განა სიცხემ არ შეგაწუხათ? ჩამოვიტანეთ: ყველი, კვერცხი, ხილი მურაბა, ნაზუქი. განა სოფელში არ ჯობია აქ ყოფნას?

ტარ. ეს, დედა ჩემო! რა დროს სოფელია, აქ სიცოცხლე დუღს, საჭიროა მუშაობა. შეგიძლიან მომილოცოთ, მე ამირჩიეს მუშათა საბჭოს წევრად...

ჯუარ. ტვინი გახურსთ, ტვინი ვი თქვე უბედურებო! არ გირჩენია სოფელში ჩამოხვადე, მიხედო მამულს, მოუარო. ჰაერო კარგია, იქ ყველაფერი ადვილი საშოვნელია.. სოფელს რა სჯობია? მე დღეს ცოცხალი ვარ, ხვალ აღარა ვარ და არ უნდა მიეჩვიო ცხოვრებას?

ტარ. ეს, მამა ჩემო! შენ ბურჟუა ხარ და მე კი არ მინდა, რომ ბურჟუა ვიყო!

თამ. შენ რომ მოკვდები, მე ჩვენ მამულს გლენებს დავურიგებ ვინაიდან მიწა ეკუთვნის მას, ვინც შრომობს...

ჯუარ. ბიჭო, შენ ავად ხომ არა ხარ? რას ლაპარაკობ? დარჯუან, მაჯა გაუშინჯე სიცხე ხომ არა აქვს?

ტარ. არა, მამა, მე ავად არა ვარ. აი წაიკითხე ეს; ჩვენი მუნიციპალური პლატფორმა და აგრარული საკითხია და შენ მიმიხედები... (აძლევს წიგნებს.)

თამ. მამა, მაგეებს ნუ კითხვლობ, ჩვენი პარტიის ბროშიურები წაიკითხე (ჩაჩვენებს წიგნებს.)

ჯუარს. თავი დამანებეთ, არ მინდა თქვენი წიგნები. მე საქმისთვის ჩამოვედი და უნდა წაგიყვანოთ სოფელში, თორემ აქ სულ ქკუიდან გადირევით! წადი ბიჭო მეგზოვე დამიძახე.

ტარ. მამავ! მეგზოვენი გაიფიცნენ.

ჯუარ. რაიო? გაიფიცნენო?

ტარ. ჰო, მამავ, გაიფიცნენ და ყოველად სამართლიანი მოთხოვნები წამოგვიყენეს.

ჯუარ. მერე ეზო და ქუჩას ვინ გვის? ფარანს ვინ ანთებს? ხომ დამაჯარიმეს?

ტარ. ფარანს თამარა ანთებს ქუჩასა და ეზოს მე მიგვხდავ ხოლმე. დარჯუან, უო დამიდგეს თვალები, ამის რას

მოვესწარი? თამარა შენ ხომ გასათხოვარი ქალი ხარ, როგორ იკადრე ეგა? მეზობლები რამ დავცინიან?

ლუარ. ბიჭო! ეგ სწავლა განა იმიტომ მოგვცით, ამოდენა ფული დავხარჯე, ამოდენა ვიწვალე, რომ მეგზოვის ალაგი დაგეკირ? აღრევე მანც გეოქვა, ამდენ შრომას არ გასწევდი? (შემოდის მეზოვე)

მეზოვე. გამარჯობა კნიაზჯან! (თაშარა და ტარეელ ხელს აჩრთმევენ მეზოვეს. შემობრუნება გაკვანკვებით უუფრებენ შვილებს.)

ტარ. როგორ არის ამხანაგო საქმე? იყავ კრებბაზე?

მეზო. დიახ, აჲ მოთხოვნაღებანი შენი ჭირიშე. (აძლეეს ქაღალდს)

ტარ. დაბძანდი ამხანაგო, დედა სკამი მიართვი ამხანაგს, ამ იშვსათ სტუმარს და ნამდვალ ბროლეტარს!

ლუარ. ვაიმე, შვილი გაშიგივლა! აფსუსს ამაგო!

ტარ. აი მამავ! წაგვიკითხო მოთხოვნილებანი

ლუარ. ისე შითხარი რა უნდათ მაგ ჩემი ცოდვით საესეს?

ტარ. ჯამაგირის მომატება, ჯერ ექვსი თუმანი, და მერე კი ათი უნდა გაუხადო ერთი თვის ოტუხსკა წელიწადში ჯამაგირის შენახვით. ერთი კარგი და დიდი ოთახი. მეგზოვე აღარ უნდა დაუძახო, მიტომ რომ ეგ მის ალაშიანის ღირსებას აპირებს. იმანც „ბარინი“ არ უნდა დაგიძახოს, არამედ სასელით. მიტომ რომ ბარინობის დრო აღარ არის!

ლუარ. (ცოტა სიჩუმის შემდეგ) ბიჭო! რა ღროს ხუმრობაა, კაცურად მელაპარაკე!

ტარ. არა, მამა, მე როდი ვხუმრობ გიყჩევ დააკვაყაფილო მოთხოვნილებანი, მიტომ რომ ყოველად სამართლიანია.

ლუარ. (უუფრებს ღარკვანს) დარეჯან! გეღმის ეგ ამბავი? რატომ არაფერს არ ამბობ?

ღარკვ. ქა! რა უნდა ვსაქვა? ბურთი და მძვადანი მაგათ ჩაუფართათ ხელში.

ლუარ. (განცვიფრებული შვილს) ეგრე რომ არ აფუსრულო? იქნება აღარ მინდა მეგზოვე?

ტარ. მაშინ შენ უნდა გასწიო მეგზოვობა? ქუჩა უნდა დავაგო, ფარანი უნდა ააწთო, ღამ-

დამეობით ჯოხით ხელში იყარაულო და სხვა. რა საკვირველია, ამეებს შენ ვერ ასრულებ და ძალა უნებურად უნდა დასთმო...

ლუარ. კარგი აჰა, რვა მანეთი არ ქონდა ორ მანეთსაც მოვუმატებ. სხვარაღა უნდა და სულ „გასპადინს ვეძახი! ვახ ქირია?

ტარ. არა, მამა, დამე, მე ვაძლეე ნახევარს და შენც გაიმეტე.

ლუარ. ვა! იქიება შენ გაგიყდი და მეც უნდა ვადვირო, ეგ სადაური ამბავია?

„გასპადინ“ დგორიკ, კაკ ვაში იმია?

მეზოვე. ყაჯი მაშადი ზადე, შადი შირზა სულეიმან ოქანდი ოღლი!

ლუარ. ვა! მინამ მაგის სახელს იტყვი, რუსები ბერლინსაც აიღებენ! მოდი რაღა მიხს დავიძახო არ ჯობია? სად დავინსომო შენი სახელი?

ტარ. არა მამა ეგ მაგის ღირსებას ამცო რებს, ჯობია ისე დაუძახო, როგორც ჰქვია. აი, დავიწერავ და დაინსოვე (სწერას) აჰა!

(მეზოვეს) შენ კი ამხანაგო! მამა ჩემს შეგიძლია დაუძახო ღუარსაბ რევაზი და დედა ჩემს კი დარეჯანს ზურაბოვანა.

ღარკვ. უი ქა! რა დროებას მოვესწარი და?

ტარ. ეხლა წადი დადექა ძველ ალაგას სინდისიერად მოჰკიდე შენს მოვალეობას ხელი, მიტომ რომ შენი მოთხოვნილებანი შესრულებულია. ჰო! წაიღე ეგ წიგნიც; მუნიციპალური პლატფორმა, თათრულ ენაზე წერია და გაოგებ. არჩევნებში ჩვენ მოგვეცი ხმა.

თამ. (ჩეჩებს ბროშეურებს) აი ეგეც წაიღე და წაიკითხე; მუნიციპალური პლატფორმა სოც. ფედერალისტების, არჩევნებში მარტო ჩვენ მოგვეცი ხმა (მეზოვე შიღის)

ტარ. ეხლა მამა...

ლუარ. (აწვეკტიხებს გაჯაფრებული) რის მამა, რა მამა! შენ ტუტშიც ხომ არა ხარ?

მეგზოვის ღირსებას უფრო მაღლა აყენებ ვიდრე მამა შენის, რომელსაც ამდენი ამავი დავლო აგრე დამცირება გავგონილა, კიდევ?

(შემდეგი იქნება)

სგ. წერეთელი.





კიკა აბაშიძე
შავი ქვის მრეწველ-
თა სიეზდის თავჯ-
დომარედ არჩეული.



გიორგი ღურ. ჟურული
შავი ქვის მრეწველთა სიეზდის
თავჯდომარის ამხანაგი

ნ ა რ ვ ე ბ ი ს ს ა მ ე პ ა

(მწვანე დღიურებიდან)

(დასასრული. იხ. ,, თ. და ც" . № 41)

ღმერთო ჩემო; რა საშინელებაა ცხოვრება!
რა ორპირი და ფლიდნი არიან თვით ჩინებუ-
ლნი შვიდნი მიწისა;

რისთვის აღვივებდი ჩემში იმ გრძობას, რო-
მელმაც კოცხლად მაწამა და არაფერი საშავი-
რო კი არ მომცა;

მიტომ რო მოგისმინო შენი სხვისდამი კაზმუ-
ლი გრძობა!...

მაგრამ მინდა ყველაფერი დავივიწყო, არაფე-
რზე არ ვიფიქრო.

ხომ გნახე, და ესეც საკმარისია ჩემთვის.

აი ვსადილობთ ერთად. გავერთედ ლაპარაკით.
მე მემუსაიფებოდი წყნარად, მგგობრულად.

მე ხო მუდამ შენი მესაიდუმლე ვარ. მა-
ვიწყდება სიმწარე. გახალისდა გული ჩემი ცქე-
რით, მაგრამ ტკბილს რო ვათავებდით, შენ
უცბათ უკმაყოფილო კილოთი მითხარი:

„რათ დამიბარე? არ ღირდა ჩამოსვლა, მაგას
იქაც მომწერდიო!«

რა, რა უნდა მეთქვა შენთვის!

ტრემლები მომადგა. ძალა დავატანე ჩემ
თავს და შევიკავე.

განა მაგას მოველოდი?

მე ხომ შენი ნახვა მწყუროდა! და შენ კი..

რა ტლანქი, რა საშინელია საერთოდ

მამაკაცი! ჩემი ზიზღი და კრლუვა თქვენს თავს,
მეჯავრებით სულ, სუყველა! ნუ თუ ვერ
წარმოიდგენ ისეთ გრძობას რო მხოლოდ აღ-
ამიანის ნახვისთვის შეიძლება ცხრამთის გადა-
ღახვა!

შენ წაიკითხე ჩემ სახეზე საშინელი ღელვა და შეწუხდი. ხელოვნურად გადმოაკეთე შენი ნათქვამი...

კვლავ სიბრალოელი!

იცი, თუ როგორ მძულდი შენ იმ წუთებში. როგორ მინდოდა მაშინ შენი წყენინება. და მაგ აზრით გაგშორდი საღამომდის.

ნეტავი კი იმ საღამოს გარეთ არ გამოვსულიყავ შენს შესახებდრად

ის საბედისწერო საღამო იყო, წყეული საღამო!

შენ კარგ გუნებაზე იყავი: კიკიკობდი უღარდელად, დაიწყე ძველებური სიტყვების ბურთაობა, ლიმაზი კარგი სიტყვების, გრძნობაზე მკლაპარაკებოდი; მე ბედნიერთა ვგრძნობდი თავს შენს ახლოს.

მაგრამ რა ცუდია და ძნელი იარის გამწვანება..

უცბათ სერიოზულათ, ამოოხვრით მიიხარო: იცი დღეს დილაადრიან გავიღვიძე, გადადე ჩემი ფანჯრები, ადგილს ვერ ვპოულობდი სულ შენზე ვფიქრობდი, და საშინლად! თავი ვერ შევიმაგრე და ისტერიულად გადავიხარხარე.

შენ იწყინე! არა მე შენ სულაც არ დაგცინოდი!

შე ჩემ თავს დავცინე, ჩემ ნდობას, ჩემ ბეშურ ქცევას...

ეს განა სასაცილო არა არი?

რად გეწყინა? შენ ისე წრფელად ლაპარაკობდი, ისე გჯეროდა შენი სიტყვების სინამდვილე. რო ოდნავაც ექვი არ შებადებოდა მათს სიტხადეში.

მაგრამ შენ იწყინე.

მე ბოდიში მოვიპადე! მევე ბოდიში მოვიხადე! არ მინდოდა შენი გაჯავრება, შენ ისეთ კარგს გუნებაზედ იყავი, ისეთ კარგათ იღიმებოდი, რო ცოდვად მიმიჩნა შენი წყენა.

რას ჰფიქრობ ახლა! რას ჰგრძნობდი მაშინ, როცა შენთან განვაგრძობდი ბაასს და იქ დამსწრე ჩვენს ამხანაგებს წარბის შერხევითაც კა გავაგეაინე ჩემი ტანჯვა...

რა ძნელია ცრემლები, რომელიც თვალს კი არ ნამავს, არამედ სულის სიღრმეში ევენაეს სისხლის წვეთებად.

როცა სახლამდის გამაცილე, და გამოგემშვიდობე, გულმა არ მომითმენა და გითხარი: — „ნუ გამიწყრებით, მე თქვენზე არ ვიცინოდი, დღეს დღით მოველ და თქვენ ტკბილად გეძინათ!“

გაშტერებული ჩამხედე თვლებში და ჩაფიქრებულმა მკითხე:

— მართლა, ნუ თუ მართლა?

დიახ, მართალია. მე მოწამეც მყავს.

მაგრამ იცი ყოველივე, რაც ოდესმე ჩემთვის გითქვამს, ყოველივე ის სილამაზე, ის სიფაქიზე: ისეა მოკლებული სინამდვილეს, როგორც უკანასკნელი ბაასა ჩემთან.

ეს იყო ერთად-ერთი დღე.

რამდენმა გრძნობამ ვადირბინა ჩემს გულზე ამ ერთი დღის განმავლობაში! ეს იყო დღე ლხენის, ტანჯვის, ცრემლის, სიცილის. მე მაინც არ გემდური.

შენ იცი წრფელი ხარ მაინც და მაინც.

მაგრამ იცი როდის?

როცა სიყვარულზე ლაპარაკობ მაშინ კი არა! არა!

მოუთმენელად წამ და უწუმ საათს ჩასცქერი გასაქცევად, ან ხმა-შალა გემრიელად ამოქნარებ, თუნდ გაჩაღებულ დარბაზში ვიყოთ.

შენს მოწყენილობას რო არ მალავ, ეგვეც კარგია და მაგისთვის მადლობას გწირავთ. არაფერი არ შეედრება წრფელს სიტყვისა და ქცევას.

ეს ყოველივე იყო ერთი დღის განმავლობაში.

უკანასკნელ დღეს, შეხვედრის და განშორების დღეს.

მარჯან





საშველ მამდერალ-მგალობელთა გუნდი გიორგი
ეპიტაშვილის ლოტბარობით.

მ მ შ მ ღ მ გ კ
ქართველ საზოგადოებისადმი.

ქართ. მომღ. - მუსიკოსთა კავშირმა დაა
დგინა თავისი მშობლიური ხელოვნება
დააყენოს სასურველ დონეზე და შეებრძო-
ლოს ყოველ დამრკოლებას, რომელიც კი
გადაელობება ამ მიზანს.

ამიტომ მან საჭიროთ სცნო ქართულ
ფილარმონიულ საზოგადოების გარდაქმნა
გაეროვნება ნაციონალიზაცია და სათავე
ჩაუყენოს იმნაირი მცოდნე პირნი ჩვენი
მუსიკისა, როგორც: დ. არაყიშვილი, ზ.
ფალიაშვილი, მ. ბალანჩივაძე, ყარაშვილი
ი. გარგარეთელი, კ. ფოცხვერაშვილი,
ნ. ქართველიშვილი და სხ.

ვთხოვთ ყველა ძველსა და ახალს წევრთ,
რომელნიც ჩაეწერენ იოს. იმედაშვილთან,
კუჭიძესთან, ლორთქიფანიძესთან და სხ.
დაესწრონ კვირის კრებას დილის 12 საათ
სლებცოვის ქუჩა, № 4 ვერაზე.



—ჟურ „თეატრი და ცხოვრების“ დასრულ-
ს. საშესრულო წიგნისათვის 23 კომპარტის
სახელზე დასრულდა 1, იოსებ იშვილიძემ: „სა-
ბრძანა ანანიაშვილის კითხვებზე“. სასუბანი გ. გრძელდა
თითქმის 1ს. სასუბანი გაშუქებულ იქნა თითქმის
ყოველი კითხვა იუკერძეულად; 2, თამარ შატავა-
რიანი და გ. გუგუშვილის შინაწილებით წარ-
მოდგენილი იქნა „დედა და შვილი“ 3, ანა გ.
ქაქაბაძემ, თამარ შატავარიანი და ვლ. გომიძემ
წარმოსთქვეს ლექსები, ხოლო შუშა შ. დევდარიანი
დაუკრძალა. შემდეგ კომპარტის ცვლა. სადასრულო
კარგი შინაგარეობა დასრულდა. შემოსავალი 90მ.
50კ. ხარჯს გარდა 14 მან სთეატრი ფინანს გა-
დაცვა, ხოლო 30 მ. ჟურ „თეატრი და ცხოვრების“
სასრულებლად. შემდეგ სსენებულ შინაგარეობა
სადასრულო უსასრულოდ მონაწილეობა მიიღეს გ.
გომიძეშვილმა, ვანო ზეტ. ქაქაბაძემ ვანო ზეტაშ-
ვილმა ხ. ვარძილაშვილმა, ის. ვარძილაშვილმა, გ.
ტიხომეშვილმა, რამეთუ დიდი მადლობის ღირს-
ნი არიან.

დამსწრე

სახალხო სახლში ოთხშაბათს, 1 ნომერ, წრემ კ.
შათირიშვილის რეჟისორობით წარმოადგინა ვ. გუნიას
მიერ ნათარგმნი დრამა—უბედური და აცვარლის კომ.
—ტკუისა მკირს. დრამამ სუსტათ ჩაიარა. მოთამაშეთ
რადაც უსიცილოება ეტყობოდათ. ზოგიერთებმა რო-
ლიც ხეირიანათ არ იცოდნენ. დრამაში
უმთავრესად ყურადღება მიიპყრეს: ნ გოცირიძემ—მსა-
ჯული, ნ ტანკვატაძემ—სანჩო გოგოლაშვილმა—პიე-
ტრა, აღსანიშნავია ა თავდგირიძეც — მარციელი, თუ
მცა ალაგ—ალაგ შესამჩნევლად მოიკოტლბდა. კომედია
მზიარულად ჩაიარა, ნ გოცირიძემ—გრიჭურა და განა-
შვილმა —ბუღდანა, თავიანთი მოხდენილი თამაშით სა-
ზოგადოება ბევრი აცინეს, ხალხი ბლომათ დაეწრო
მაგრამ ჩვეულებრივ უწესრიგობას, უღროთ სიცილს
ყვირილსა და თითქმის ბღვილს მაინც ვერ ასცდა, ნუ
თუ ამ თავდაუქერლობას არ მოეღება ბოლო?
მარინი.

წერილი კახეთს

ქართულ კლუბში კვირას დღის 12 საათ.
ღვინობისთვის 29 ქართულ დრამ, დასმა დასდგა მი-
სა: „ქრისტინე.“ წარმოდგენამ კარგა ჩაიარა და მაყუ-
რებლებიც ბევრი აატირა. ა. ქიქოძის ასულმა ჩინებულ
ლად შეასრულა ქრისტინეს როლი. სხვები ანსამბლს
ხელს უწყობდნენ. კარგი იქნება, ამნაირი პიესები ხში-
რად იდგმებოდეს.

ორშაბათს ღვინობისთვის 30 ამავე დასმა და-
სდგა ვ. გუნიას პიესა: „ძალა აღმართსა ხნავს“ ამ
საღამოს განსაკ. ყურადღება მიიქცია ალ. იმედაშვილმა
ვანტანგის როლის შესრულებით. მისმა ბუნებრივმა და
ნიჭიერმა თამაშმა ხალხი აღტაცებაში მოიყვანა. ორი-
ვე წარმოდგენას ხალხი მრავალი დაესწრო. აღსანიშნა-
ვია რეჟისორ ვ. შალიკაშვილის ნაყოფიერი მუშაობა.

ს. ვრთაწმინდელი გეთხოვს გამოვაცხადოთ, რომ
მისი პიესების საავტორო უფლება გადაცემული აქვს ქა-
რთველ მსახიობთა კავშირს და დამდგმელებმა ნებართვა
იქიდან უნდა აიღონ. პროვინციებში კავშირის აგენტი-
საგან.

ახალი პიესა სამმოქმედებიანი ეპიზოდი სიკვდი-
ლით დასჯა დასწერა ერთაწმინდელმა.

ნ. გ. ქრთველიშვილი თბილისის სახემწიფო თე-
ატრის კომისრათ აირჩიეს.

ქართველ მომღერალ მუსიკოსთა კავშირი
უკვე შეუდგა ქართულ ოპერების მზადებას. დაწერილ:
ბით ცნობების გაგება და ჩაწერვა შეიძლება კავშირის
თავჯდომარე ვარდენ ლორთქიფანიძესთან ანუ მდივან
სვიმონ წერეთელთან

ფოთის ქალ—ვეთა გიმნაზიის მოწაფეებმა და-
რსეს დრამატული წრე და კომიტეტიც აირჩიეს 13 წე
ვრისაგან შემდგარი.

რუსეთში მეთმრავლებებმა (ბოლშევიკებმა)
აჯანყება მოხდინეს. მოსკოვის და პეტროგრადის ქუჩებზე
ბრძოლა. ალაგ—ალაგ მეთმრავლებენი დამარცხდნენ.
ყაზაკობა და იუნკრობა კერენსკის მხარეზეა. კავკასია
შვიდობიანათ შეხვდა ამ ამბავს. მდგომარეობა ჯერჯე-
რობით გამოურკველია.

ქართულ კორპუსის შედგენას ნება დართეს. კორპუსში
სამოც ათას კაცამდინ იქნება. მსურველთ შეუძლიანთ
ჩაეწერნენ ქართველ სამხედრო კავშირში.

დამფუძნებელ კრების არჩევნების სამზადისი
დაიწყო. არჩევნები მოხდება 12—14 გიორგობისთვის.

ქართული უნივერსიტეტი გაიხსნები პირველ
იანვრიდან

მივიღეთ ანგარიში ქართულ ფილარ. ს-სა. მოწა-
ფს ყოფილა 120 აქედან ქართველი 90. 1906 შემოსა-
ვალ—გასავალი ქონდათ 10000 მან.



მიიღება თბილისში, ხელის მოწერა—ბაზრის ქ. № 20, ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ, სახ. არჯევანიძისა. საფოსტო მისამართი: თბილისი, რედ. „თეატრი და ცხოვრება“— იოსებ იმედაშვილს.

ქართული კლუბი

1 კვირის პროგრამა

კვირა—საღამო წარმოდგენა.
ორშაბათი—ოპერა. მუსიკა
სამშაბათი—საოჯახო საღამო
ოთხშაბ.—სინემოტოგრაფ. სიმებ. ორკ.
ხუთშაბ.—ქართ. წარმოდგენა. მუსიკა
პარასკ.—ოპერა.
შაბ.—საოჯახო საღამო
კვირა რუსული—წარმოდგენა.

სახალხო სახლთა არსებულ

ქართულ სახალხო წარმოდგენების მმართველ
წრის გამგეობას

განზრახვა ექვს ამ მოკლე ხანში გამართოს
გამოსაცდელი წარმოდგენა. ვისაც სურს მიი-
ღოს მონაწილეობა აღნიშნულ წარმოდგენაში
შეუძლიან ჩაეწერონ წრის კანტორაში ყო-
ველ დღე საღამოს 7—9 სათამდე.
მიხეილის პროსპექტი № 102.

რედექტორ-გამომცემელი იოსებ იმედაშვილი